


ნახ. ჯ. ლომუასი



უსიტყვოდ

საბჭოთა ხელისუფლების 72 წლის მანძილზე სოციალიზმმა მრავალჯერ იცვალა სახე: უტოპიური, მშენებარე, აშენებულის, გამარჯვებულის, განვითარებულის, განახლებულის, აუშენებელი, არაასაშენებელი, გადაგვარებულის, დეფორმირებულის, ყაზარმული..

გავბრუნდით.. დავიდაღეთ.. დავიბენით.. გამოვყეყეჩდით..

ნეტა როგორ ერქმევა იმ სოციალიზმს, რომლის დროსაც ადამიანურად შეიძლება ცხოვრება — ეგებ „კაპიტალისტური სოციალიზმი“?

გახსრებული ომი იყო და ფეხმძიმე დედამისს პურის რიგში დაეწყო მშობიარობის შეტევები!..

— „ოჩერელი“ დედის მუცლიდან დამებდაო! — იცოდა ხოლმე თქმა.

რიგრიგობით ჩაიარეს ომის შემდგომმა ხუთწლეულებმა, პლენუმებმა, ყრილობებმა!.. ცხოვრება კი ურიგოდ არ მიუდიოდა: რიგში იდგა, რიგში იწვა (სასტუმროების პოლებში), რიგში ფიქრობდა, რიგში კითხულობდა — მოკლედ, როგორც პიროვნება, რიგში ჩამოყალიბდა!

— ნეტა სიკვდილიც თუ რიგში მიწერიაო! — ნაღვლიანად ეკითხებოდა თავს.

სახალხო დეპუტატოების კანდიდატთა არჩენები დემოკრატიული პრინციპით უნდა ჩავატაროთ! — ასე გადაწყვიტეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. სამი კანდიდატურა წამოაყენეს: დირექტორი, მოლარე და დამლაგებელი.

კანდიდატურების განხილვისას დირექტორმა აცილება მისცა თავის თავს:

— მეო, — თქვა, — ხშირად მიძახებენ სადირექტივო ორგანოებში, ადგილზე იზვიათად ვარ და კოლექტივი კარგად არ მიცნობსო!

დამლაგებელმაც აცილება მისცა თავის თავს:

— მეო, — თქვა, — ან დილით ადრე მიწევს მუშაობა, ან გვიან საღამოს და კოლექტივი აგრეთვე არ მიცნობსო კარგად.

მოლარეს ყველა კარგად იცნობდა და ისე აირჩიეს, რომ არამცთუ წინააღმდეგი არავინ იყო — თავიც კი არავის შეუკავებია!


ავტობრასას ვეებერთელა ასობით გამოყვანილი ლოზუნგი შეენოდა:

„მეკატეობას — კომკავშირული ყურადღება!“


არ შეენოდა გაყოლებით ჩამწკრივებული, გაძარცვული და ტოტებჩაღეწილი კაკლის ხეები!..

გაიგონ-მოიგონა თამაზ ებანოიძე

ნახ. შ. აბაშიძისა



„აგრესიულად მორჩილ“ დეპუტატთა ერთი ჯგუფის დაბრუნება ყრილობიდან.



სომ არ გაცნობათ?

თავს არასდროს იბაზრებდა მალაზიით, ბაზრიით, სახელმწიფო ბაზიდან ზღვა ქონება გაზიდა!.. დაიჭირეს! — სიტყვა ვერ ამოაძვრეს გაზითა!

ზოგ კაცს მხოლოდ ჭური ჰქვია და ეს არის დასაძრახი! ჭურისათვის სულ ერთია, იმეორებს თუ ვის ძახილს!

ცხოვრობს ჭორების გორებით: ამბობს, მადლობა უფალსო! მოაქვს და მიაქვს ჭორები, ყველგან არიგებს უფასოდ!..

მავანს ყველა დასცინის და ამისი საბაბი არის მისი ღიმი და... არის მისი ღაბაბი!.. აბა, გამოიცანი, იგი კაცი ვინც არი!

თუმც ვერ ნახავთ ამ კაცს უქმად, არის მხოლოდ ბაქიბუქა: სიტყვით — მთების გადამდგმელი, ხოლო საქმით — არასმქმნელი. საქმემოკლე, ენაგრძელი, წუთისოფლის ენით მხვნელი, ყოველი დღის, ყოველი თვის სულ ტრაბახში დამმარხველი!

იყო ჩარჩი, უკულმართი, შვილსაც ზრდიდა ჩარჩად, იმ ჩარჩს მხოლოდ უსურათო შავი ჩარჩო დარჩა!..

ზოგი ქრთამს რომ აიღებს, ისევ ქრთამად ხარჯავს, ყოველ საქმეს ასე კვაჭავს, იმსუბუქებს გარჯას!..

სადაც ლაზერის გააღწევს სხივი, იქ იგი კაციც უთუოდ გავა, ხელს ვერ შეუშლის კედელი მკვრივი, ვერც ასე უღვთოდ გაზრდილი გავა!

ჭრელ პებლებს უმღერს ზოგჯერ მინდვრად ახმახი კაცი, სამსახურში კი დესპოტია, ჯალათზე მკაცრი!..

თუმცა იქცა მელოტად, ცას არ იკლებს ყვედრებით, კარგად იცის ხელობა ფულით ფულის კეთების!

აქვს თავისი ზღვა, თავისი გემი, საკმეველს მხოლოდ თავის ღმერთს უკმჯვს, რაში სჭირდება სიმართლე შენი, თუკი სიცრუით ის ცხოვრობს უკეთ?!

დღედაღამ თავის ქება სწყურია! სურს, ყველას მხოლოდ როცა აქებენ, ასი ყური აქვს, ნაკლს თუ ეტყვიან, ხდება უყურო!

მავანს აქვს ორპირი პირი, არ იცის, რა არის სირცხვილი: მივიდა ქორნილში — ტირის, მივიდა საფლავთან — იცინის!..

რა ფასი აქვს ქებას, ანდა ძაგებას, ვერ მიაღწევს მიზანს იგი თუკი?! კატა მოკვდა — გაიხარეს თავებებმა, დაავინყდათ — კატას დარჩა კნუტი!

დაეაჩოქებ ჩემ წინ ყველას, რიდი არ მაქვს არავისი, რას დამაკლებს ტურა-მელა, როცა ღომი მოყვრად მიზის?!

ტრაგედია კომედიად მოიქნია კუდი: გაიძვერა დაიხურა ერისკაცის ქუდი!

ის კაცი ახლა სავსე არის ბოროტი ზრახვით: — „ვაიძულე და მხარს დაუჭერს ჩემ სიტყვას ხალხი და არ დამაჭრას მაშინ ღმერთმა ყურებზე ხახვი!“

ზის და ფიქრობს ხალხზე თითქოს, რთულ-რთულ ამბებს ქარგავს!.. არაფერზეც არა ფიქრობს, თავის თავის გარდა!..

როცა კაცის სულს კაცი ყიდულობს ოქრო-ვერცხლით, ვინვი სირცხვილის ცეცხლით, მაგრამ ვერაფერს ვერ ვცვლი!

სკამი და კაცი

ზოგს მიჰყვრია ძვალზე კანი, ზოგს მადა აქვს სვავის, ზოგს არა აქვს ერთი სკამიც, ზოგს სკამი აქვს სამი!..

ვაჰმე! ჩვენს დროში თუ არ გაქვს სკამი, კარიერის გზას თუ არ მიჰყვები, სიზმრად და ცხადად, დღისით თუ ღამით, მალე ყველასგან გაირიყები!

სკამს მოგყიდი, მალაქია, ეს ისეთი ალაგია, თვალს საითაც გადაისვრი, ოქრო-ვერცხლი ალაგია!

არის თამაში ნარდის, ტრიალებს ჭრელი ჩარჩი, ცრუჯილდოებით დადის ცრუსკამოსანი ხალხი!

სანამ მერქვა დიდი კაცი, მპატიყებდა ყველა, ახლა ყველა მგელს მეძახის, ტურასა და მელას!.. თუ ისევ დიდ სკამზე დამსვეს, მზედ ვიქცევი ხელად!

ნუ აპყვები კარიერის ბორგვას, მუდამ გქონდეს შავი „ვოლგის“ რიდი! ვისაც მისცეს შავზე შავი „ვოლგა“, იმას საქმე ხშირად შავად მისდის!

სიცოცხლოდროშიდან აფრანილი სტრიჟონები

აირია წყველა-ლოცვა, საგინებელს ვაქებთ, ერთობ ხშირად ვმღერით, როცა გვაქვს სატირლად საქმე! ზეიმები, ზეიმები, ზეიმები მხოლოდ!.. ზეიმებით ავტირდებით ალბათ ყველა ბოლოს!

ხუნდი ცხოვრების არა ხუნდება, დრო-ჟამი გვიშენს ულსობელ ისრებს!.. რა ქნას სანყალმა ერთმა კურდღელმა, შესაჭმელად რომ ცხრა მგელი მისდევს?

რაც მართალია, მართალია!..



მიზანი ჩვენი ერთია —
 დანაშაულის, ბოროტების ფესვები
 ყველგან ამოვთხაროთ!..
 სიმართლეს რომ იტყვი ხანდახან,
 ზოგ-ზოგი ბუზღუნებს:
 ინტრიგანი ხარო!..
 გვიტყვენ საქმოსნები,
 მლიქვნელები, მამებლები,
 თავს არხეინად გრძნობენ
 ცხვრის ქურქში გახვეული,
 დიას, ბიუროკრატიზმის მკვლელები!..
 ენაფებიან გატაცებით
 „ხვალ მოდი“, „ზედ მოდის“!..
 გვანვალუბენ, ქალაღის კორიანტელს
 აყენებენ ქალაღის კაცები!..
 გასივდა ჭორი ვირის დრუნჩივით,
 ზოგჯერ განცხადებას
 სწორედ იმას დაანერგ,
 ვისაც ვუჩივით!..

დამნაშავე მავანი და მავანი, —
 თავს როცა უტიფრად იმართლებს, —
 მაშინ დარწმუნდებით,
 რამდენი მტერი ჰყავს სიმართლეს!..
 ზოგჯერ გვაოცებენ
 თანამდებობის პირები:
 კრება კრებაზეა გადაბმული
 და თათბირები!..
 უსაქმურები,
 ტაშის დამკვრელები
 იოლად გადიან ლაყობით,
 უარყვენ დისციპლინა
 და ხალხს მთქნარებით
 ატკივდა ყბები!..
 დემოკრატია ბევრს
 მისებურად ესმის,
 კრებაზე რეგვენი რეგვენს აქებს
 და, რა ხანია, მათი სიტყვა
 დაშორდა საქმეს!..

ნერე რამდენიც გინდა
 განცხადებები,
 საქმეთა მმართველი
 უჯრაში ინახავს!..
 ამ ხალხში, ალბათ,
 ცხრა წელი დაგჭირდება,
 რომ დაამტკიცო,
 შენ რომ შენა ხარ!
 ეს ლექსი დავუწერე
 მავანს და მავანს,
 ვისაც ჰგონია,
 ვერ ახდიან ფარდას,
 ვისაც ჰგონია,
 გარდაქმნა ყველას ეხება,
 მართო მის გარდა!..

დავით ხუროძე
 (მ. ჭოთაისი)

მთავრობის უწყობა

ხუთშვილიანი ერთშვილიან გამგის ოთახში
 ალოღინეს და...
 მეთხუთმეტე დღეს ძლივს შევიდა!..
 ერთშვილიანი ჭერისკენ იყურება,
 ტელეფონს ეფერება, სკამიდან ვერცა დგება.
 ის აქ მოათავსა ბევრის სიყრუემა.
 ხუთშვილიანზე უფრო სკამი ეცოდება!..

ერთშვილიანმა დედის საუბარი მოისმინა რა:
 — ოჰ!.. ოჰ!.. ოჰო! — თქვა და
 თითქოს კიდეც ინანა!..

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
 (ქალის ხმა როდი წააგავდა კნავილს კნუტისას),
 რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
 უკიდვანო ოთახიდან
 დედამ ხუთისამ!..


რა შეიტანა-გამოიტანა,
 რა ამძიმებდა მანდილიან დედას შესაქებს? —
 არა ოქრო ან არა პლატინა,
 აომედ ერთი განცხადება ბინის შესახებ.

ავთანდილ გურგენიძე


ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ზ.ზ.



ზ.ზ.



ზ.ზ.

უსიტყვოდ

გამარჯვებისთვის წვიმი

ანტიჩანოვური ნოველა-პაროდია

— ნასული საქმეა, მაგრამ რას ვიზამთ? უბრძოლველად სკამს ვერ დათმობ!.. უკანდახევის უფლება არ გვაქვს, ზურგს უკან ოჯახია! — ამოიხვნეშა მამაჩემმა, როცა ვუთხარი, ჩემს მრევლში არჩევნები 1-2 თვეში ჩატარდება-მეთქი.

...და მაშინვე შევუდექით სიტუაციაში გარკვევისა და ხმების შეგროვებისათვის ზრუნვას. ხომ მოგესხენებათ:

უპურმარილოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ კრთება, ქარი არ ქრის სასიხარულო!

უპურმარილოდ არ არსებობს არც სიღამაზე,
თვით უკედავებაც არ არსებობს უპურმარილოდ!

პირველად წამყვანი განყოფილებების გამგეები დავბატიყვე ყველიერში, ბლინებზე. ისეთი პურ-მარილი გავმართე, თითებს ჩაიკვნიტდით! ბლინები თავისით მიძვრებოდა პირში!.. უმარილო ჭყინტი ყველის ხაჭაპური ნებიერად კრატუნობდა კბილებშუა!.. დაბრანული გოჭის თავს კი წითელი ბოლოკი გაჩხეროდა ხახაში!.. გადასაყლურნავიც ბლომად იყო!.. ქერიმა გოგატიშვილო, ვიფიქრე, ფულები მოდიან და მიდიან, ვალები კი მაინც რჩება-მეთქი!..

გვარიანად გადავკარით და მოვუღსინეთ. ზოგიერთმა ქამარიც კი მოუშვა ჩუმ-ჩუმად. მერე კურიცინმა ისე გააბოლა, არც უკითხავს, შეიძლება თუ არაო. კურიცინს თქვენ იცნობთ! თქვენთვის, შეიძლება, ის არარაობაა. კაცურმა კაცმა იმხელა წინაქა უნდა ჩააგდოს ლობიოში? მაგრამ ეს ხომ ის კურიცინია, რომლის შესახებაც ასე ამბობენ: მაგან რომ სუფთა ფურცელი ააგდოს პაერში, მინაზე საჩივარი ჩამოვარდებაო! ეს ის კურიცინია, ასეთი რამეებიც რომ იცის ხოლმე სადღეგრძელოში, როცა შეთვრება: თუ გინდათ, ჯანმრთელი იყოთ, იცხოვრეთ ხელფასზე! თუ გინდათ, ბრძენი იყოთ, იკმარეთ ჯამაგირი, და თუ გასურთ, ლამაზი იყოთ, დაკმაყოფილდით ყოველთვიური სახელმწიფო გასამრჯელოთი! ამიტომაც და იმიტომაც, რომ ის ჩემთვის პოტენციური სასარგებლო ხმაა, კურიცინი ჩემთვის ყველაფერია, ტიტანია! რა თქმა უნდა, მან ეს იცის. კაცმა რომ თქვას, თვითონ როგორღაც ახერხებს საკუთარი ფორმულის პრაქტიკულ განხორციელებას, თუმცა უმართლებს კიდევ. ამ 1-2 წლის წინათ ლატარიაში მსუბუქი მანქანა არ მოიგო? მერე ასეთი თხოვნა აფრინა ზემოთ: გათხოვთ, ბენზინის ლატარიაც მოაწყობთ!.. დასაკარგავიც არაფერი აქვს მუდრეგს! მა-ა-აში!..

ჰოდა, კურიცინმა ანეკდოტების მოყოლა დაიწყო. აღარც ვიცი, იყო თუ არა რაიმე ორიგინალური მონაყოლში, მაგრამ ის კი მახსოვს, მამაჩემმა მუჯლუგუნი გამკრა და ჩამჩურჩულა: — გაიცინე, ხარჯი ხარჯია!

პირი ჭიშკარით მოვალე და ერთი-ორჯერ ისე გადავიხარხარე, ყველას გაუკვირდა. სამსახურში ხომ გაუცინარ ხელმწიფე-საეით მხედავდნენ.

— ეგრე, ეგრე!.. — მხიარულად აჩურჩულდა მამაჩემი, — ხედავ, როგორ გაუხარდა? ნაღდად შენ მოგცემს ხმას!

— და-ა-ა-ას! — ჩავურთე სიცილში, — ეგრეც ხდება. ახლა ხომ სხვა დროა: დემოკრატიულობა, საჯაროობა, არჩევნები!..

— აბა, რა? ჯერ სადაა! ანი ნახონ შუმი სოციალიზმის ნიშნები!..

— ახლა კი, მაგრამ აქამდე? — გაანყვეტინა კურიცინმა და სიცილით მომიბრუნდა, — გახსოვთ, ხალხო, ყველაფერს თავის ჭკუაზე რომ მოითხოვდა? სიდედრი რომ მომიკვდა, წვერი მოეფუშვი. როგორ მითხარით? თუ გინდა, სახლში მოუშვი, სამსახურში კი წვერიანი არ დაგინახო!

— რა გინდა, ძამია, — სერიოზულად ვუთხარი, — შრომითი კოლექტივის საბჭოს სხდომაზე რასაც დამავალბებთ, შემსრულებელი ვარ! თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! თუ გინდა, ფანქრებსაც წაგითლი ხოლმე და შესვენებებზე ღვეზელზედაც გაგვაზავნები! სიდედრი რომ არ მოგკვდომოდა, — ღმერთმა აცხთოს ნოს, — თუატრშიც წავიყვანიდი ხოლმე!..

სიჩუმე ჩამოვარდა. გავიგონე, როგორ გადაულაპარაკა ერთმა მეორეს:

— ეგ საკენკი წინილებს დაუყაროს!.. ნიბა, ნიბა, ნიბა!..

გულზე შემომენტო!.. ეს რა რუსიფიკაციას ეწევა, წინილებს რუსულად უხმობს? საქართველოში ხომ ქართულად უნდა დაუძახო: ნია, ნია, ნია!.. თავი კაბინეტში წარმოვიდგინე და კინალამ მუშტი ვთხლიშე მაგიდას, მაგრამ გამოვერკვიე და დროზე მოვქაჩე ალვირი საკუთარ თავს.

კარი გაიღო და დედაჩემი არ შემოვიდა? აი, თვალები, მუშტისოდნა, შუბლზე ასხდა ქალს! — ეს რა? ქვეყანა გადაბრუნდა, ქვეშევრდომი უფროსს საკუთარ სახლში ბატონობსო? — პირდაპირ ასხივებდა ამ კითხვას საწყალი ქალი.

კურიცინი კი: ხედავთ, ქალბატონო, როგორი ქოსატყუილა გაგიზრდიათ? აი, ავირჩევთ და ისევ მოგვაჯდება ქეჩოში!..

— ვაიმი, ვაიმი, ხალხო, არ მენდობით? გამომცადეთ მაინც!..

— კეთილი, გამოგცდით! აი, პურის ნატეხი. მოაყარე პილპილი და შეჭამე!

რა უნდა მექნა? ხაჭაპური ყელში მქონდა ამოსული. მაინც გამოვართვი პურის ყუა, მოვაყარე პილპილი და ჩავკვიჩე. ისეთი სიფათი მივიღე, თითქოს მეგემრეილა კიდევ.

ყველა ჩაბვირდა.

— აბა, ახლა ისეთი რაიმე გაითამაშე, კაბინეტში რომ აგორებ ხოლმე!

სავარძელში ჩავჯექი, ტელეფონის ყურმილს, როგორც ხანჯლის ვადას, ისე დავადე ხელი და ყურმილში ჩავძახე: — დამაკავშირეთ მინისტრი!

დედაჩემი უხმოდ გაბრუნდა. გავყვიე და კარგა ხანს მოვუნდი მის დაწყნარებას. შეშინებული ტიროდა. რომ გამოვბრუნდი, ცეკვა-თამაში გავხურებინათ. ერთ-ერთი მეინახე მაგიდის კუთხეში ჩაძინებულ კურიცინს ინვევდა და ყურში ჩასძახოდა: — ხვრინდი, ხვრინდი, მარია, თუ კარგი სიზმარია!..


გამოფხიზლებულმა თვალები მოიფშვინტა და რომ დამინახა, მომძახა:

— ჩამოუარე!

მე და მამაჩემი ერთად გადავედით. სიმართლე გითხრათ, ცეკვა არ ვიცი, მაგრამ უარს ხომ ვერ ვეტყვოდი? დათვივით დავაჯახაჯახები წრეში და მიხაროდა: „ამირჩევენ, ნაღდად ამირჩევენ!“

„...ეახმე მითუასა!..“

სოსო მათარაშვილი
ქ. საჩხერე





სურათი მითარქვება

სცენა წარმოადგენს სხდომის დარბაზს. პრეზიდენტი სხედან ნოეები და მათი მომხრეები. გაკრულია ლოზუნგი: „ამ ზამთარს მთაში ჩამოვსა, ამიტომაც მთიან რაიონებს მოვუწოდებთ, მთა აქციონ სუბტროპიკულ ზონად!“ „არ ვაპირებთ კონკრეტულ სიტყვებს: „პუნაბა მგრანაბალია“, პირიქით, ჩვენ ვართ გუნაბის მგრანაბალი“ ტრიბუნაზე აღის ნოე IV.

ნოე IV: ბატონებო, ჩვენ საშუალება გვქვია, ჩამომცხარ მთიანეთში სასწრაფოდ გავაშენოთ ყინვაგამძლე ლომონი, მანდარინი, ფორთოხალი და დეაკამაყოფილოთ სიცივიის C-ვიტამინდაკლებული მოსახლეობა. თუმცა ისინი ნინადადებას გვაძლევინ, თქვენ ნუ შენუხდებით, ჩვენ თვითონ დანერგავთ ციტრუსებს, მაგრამ მათ როგორ შევანუხებთ, ყინვაგამძლე ციტრუსები ჩვენი რეზერვებით უნდა გავაშენოთ. ამისათვის კი საჭიროა მთიანეთის თემის კომიტეტის თავმჯდომარემ აიღოს ეს ვალდებულება. ეს ნოე პირველის დაუცხრომელი სურვილიც არის!

თამის კომთავმჯდომარე: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თვალთაც არ გვინახავს ციტრუსები, ვალდებულებას ვიღებთ გაშენება-გამრავლებაზე.

სცენაზე აღდევებული შემოდის გენერალი მახნიბე. მიემართება ტრიბუნისაკენ, აღის ტრიბუნაზე და ნოეებს მიმართავს: **გენერალი მახნიბე:** რას ჩადიხართ, რატომ გაუუქმეთ სამშობლოს დასაცავი არმია?!

ნოე VI (სამხედრო მინისტრი): არმიის გაუქმება სიცივიის სახელმწიფოსთან დამოყრებისა და დამპობილების საფუძველია. სცენაზე გამოჩნდება მოახლე გოგონა. ყველა გაოცდება.

მოახლე გოგონა (ყვირის): თავს უშველეთ, მტერმა ბორდოს ხიდი გადმოლახა!

ნოე II (მიჭრება მოახლე გოგონასთან, თვალბში ჩახედავს და ნოეებს მიმართავს): ბატონებო! არ ჩავარდეთ პანიკაში, შევადგინოთ მოახლე გოგონას დაკითხვის საგანგებო კომისია!

ნოე III: ნოე პირველის თავმჯდომარეობით!

ნოე I: მე თანახმა ვარ, ღონად დაკითხვას ჩემს მაგივრად ანარმობებს ნოე მეორე, თუ გინდათ ნოე მეოთხე, თუმცა სულ ერთია რომელი იქნება, სჯობია ისევ ნოე მეორე!

ნოე II: თანახმა ვარ, კომისიის დავალებით ვინც მუშაობას (მოახლე გოგონას მიმართავს): ვინ გითხრათ, რომ მტერმა ბორდოს ხიდი გადმოლახა და იგი დედაქალაქისაკენ მოეშურება?

მოახლე გოგონა: ჩემმა საქმრომ.

ნოე II: სად არის?

(დასასრული. დასაწყისი იხ. № 11, 12, 13, 14, 15, 16.)

მოახლე გოგონა: იგი დაჭრილია, გარეთ იცდის. შემოჰყავთ საკაცით სამხედროფარაჯიანი ლამაზი ყმანელი.

ნოე მეორე თავზე დაადგება.

ნოე II: თქვენ რომელ ნაწილში მსახურობთ? **ჯარისკაცი:** სასახლეო ათულში, სადა გყავს ნაწილი?

ნოე II: ვინ დავსხხათ? **ჯარისკაცი:** მე-10+1 არმია.

ნოე II: ვინ მოუძღვის? **ჯარისკაცი:** სერგო ლორეშაძე.

ნოე I: ბატონებო, აქ საშიში არაფერია, ლორეშაძე სტალირანის მითითებით მოდის!

ნოე VI (სამხედრო მინისტრი): ებრძანებ!..

დაჭრილი ჯარისკაცი (წამოხტება საკაციდან და გადის სიმღერით): **ომში რა გვინდა, გამარჯვება არ გვინერია, სახლში დაბრუნდეთ, მეგობრებო, ცული წელია!**

ნოე VI (სამხედრო მინისტრი): ერთი-ორი, ერთი-ორი...

ნოე I (სამხედრო მინისტრს შეაჩერებს): **წელან თქვით, რომ ებრძანებო, საგულისხმოა, რას ბრძანებთ?**

ნოე VI (სამხედრო მინისტრი): **ებრძანებ! უაზრო სისხლი რომ არ დაიღვაროს! კიდევ ებრძანებ, ჩვენმა გვარდიამ უკან დაიხიოს და გზა დაუთმოს ინტერნაციონალური ვალისმომხდელ მე-10+1 არმიას!**

ნოე IV: ასე გადავარჩენთ ჩვენს ნაციას და სულიერ-მატერიალურ ძეგლებს!

ნოეები (ერთხმად ევედრებიან სამხედრო მინისტრს): **უმორჩილესად გთხოვთ, ბრძანეთ, ბრძანეთ!**

ნოე VI (სამხედრო მინისტრი): **ებრძანებ, დავიხიოთ უკან! დედაქალაქი დაეტოვოთ, არ გავაფუჭოთ სიცივიის საერთაშორისო მოძრაობის საშეიღვიველო საქმე!**

მოახლე გოგონა (გახარებული): **თქვენს ბრძანებას იუნკრები და ეროვნული ლაშქარი არ ემორჩილება, გამირულად ებრძვიან მე-10+1 არმიას!**

ნოე I: ყველას მოგინოდებთ, იდეოლოგიურად შეუუტიოთ პორტუგელ იუნკრებს! ისინი საერთო საქმეს აფუჭებენ!

ნოეები იხევე, სცენაზე გამოჩნდება თეთრ ცხენზე შემჯდარი, დრაკონის ფორმაში გამოწყობილი სერგო ლორეშაძე. იგი სამშობლოს რუკას მახვილს აძგერებს. სცენაზე მხედრულად მოაბიჯებს სამხედრო, რომელსაც თავზე ნონოლიკა ქუდი ახურავს. **ნარწერი — მე-10+1 არმია, იგი სერგო ლორეშაძესთან მივა.**

კომისარნი: რა ვუქნათ ნოეებს, ისინი ხომ აქ ჩვენს საქმეს აკეთებდნენ. ჩვენ ხომ მათი სამშობლო მათმა ძმურმა სიყვარულმა დაგვაპყრობინა?

სამხმ ლორეშაძე: ერთი და იგივე საქმეს ორი ძმა ვერ გააკეთებს, ერთი ზედმეტია! შუქი ქრება.

სურათი მითარქვება

სცენა წარმოადგენს ჭრაქებით განათებულ მიწურს, რომლის კედელზეც კიდია ნოე პირველის პორტრეტი — შემალღებულზე მდგომი ნოე პირველის ფეხებთან ჯარისკაცები ყრიან დამარცხებული ქვეყნების დროშებს. სცენაზე გიორგი სამხედრო ფორმაშია გამოწყობილი და ბოლთას სცემს ოთანში.

ტყავის კურტაკიანი კომისარი მაგიდაზეა ჩამომჯდარი და ჩიბუხს აბოლებს.

მიორბი: იქნებ ამისნათ, ეს რას ნიშნავს, რამდენჯერაც შეტევისათვის ხელსაყრელი მომენტი შევარჩიეთ, იმდენჯერ უკან დახვევისა და გამოგონებული პოზიციების მონინააღმდეგისათვის დატოვების ბრძანება მოვიდა ცენტრიდან.

კომისარნი: ეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული საიდუმლო სტრატეგიული გეგმის ნაწილია, ბატონო გიორგი, და ნუ გეწყინებათ, თქვენ, როგორც უპარტიოს, ჯერჯერობით მას ვერ გაგიხველთ.


მიორბი: გამოდის, რომ მთავრობა უნდობლობას მიცხადებს მე — ფრონტის სარდალს?!

კომისარნი: თქვენ ლალატს არავინ გაბრალებთ, ბატონო გიორგი, მაგრამ ნუ გეწყინებათ, თქვენი და ვენერალ ბალაშის პოლიტიკური ფიზიონომია ჯერაც საბოლოოდ არ არის ჩვენთვის გარკვეული. დაიხ, თქვენ ჩვენი თანამგზავრები ბრძანდებით, მაგრამ რომელ სადგურამდე, აი კითხვა, რომელიც ცალსახა პასუხს... (სიტყვას კანონადის ხმა აწყვეტინებს, ჭერიდან მინა და ლორღი ჩამოცვივა).

მიორბი: ნუთუ გვარდიელებმა ვერ შესძლეს უსახელო მალალობის შენარჩუნება?!

კომისარნი: ჩვენი გვარდია უძლეველია! **ადიუტანტი** (შემორბის): ბატონო პოლკოვნიკო, გვარდიელებმა თვითნებურად დატოვეს სტრატეგიული მნიშვნელობის მალალობი და მთელი შემადგენლობით გამოცხადდნენ ფრონტის შტაბთან.

მიორბი: მიხმეთ გვარდიელების მეთაურს (ადიუტანტი გადის).



შემოდინ გვარდიელების მეთაური და პოლიტბელი.
გვარდიელების მეთაური: ამხანაგო კომისარო, გვარდიელთა პოლი უდნაკარგოდ დაბრუნდა საწყის პოზიციაზე.
გიორგი: მე თქვენ დეზერტირობისთვის დაგზავრეთ! როგორ გაბედეთ მალლობის მიტოვება! თქვენ ხომ ამით მთელი არმია განირთ!

კომისარი (მშვიდად): ამხანაგებო, რამ გამოიწვია თქვენს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება?

გვარდიელების მეთაური: ამხანაგო კომისარო, ჩვენ ოთხი საათის წინ ბრძანებისამებრ ნავართვით მტერს უსახელო მალლობი და ამ ოთხი საათის განმავლობაში ჩვენ ამაოდ ველოდით პროვიანტს, არ დაიჯერებთ და ყავა და შოკოლადიც კი არ მოუტანიათ ჩვენთვის. ამიტომ ჩვენ გადაწყვეტეთ ჩამოვსულიყავით და გვესაუზმა.

გიორგი: რა დროს ჭამაზე ფიქრია, როდესაც ამ ბრძოლაში სამშობლოს ბედი წყდება. გიბრძანებთ: ნებისმიერი მსხვერპლის ფასად, თხუთმეტ წუთში მოსპოთ მტრის ბატარეა და დაიკავოთ სიმაღლე დილაშენი, ჩვენი სამშობლო — ეს სიმაღლეა.

გვარდიელების პოლიტბელი (გამომწვევად): ჩვენ მხოლოდ ამხანაგი კომისარის ბრძანებებს ვემორჩილებით, ბატონო პოლკოვნიკო!

კომისარი (მშვიდად): ამხანაგებო, მიიღეთ ეს პარტიულ დავალბადა.

გვარდიელების მეთაური და პოლიტბელი (ერთხმად): მზად ვართ! (გადაიან).

რეკავს ტელეფონი.

გიორგი: შალო, მესმის... მესმის... მესმის!!! (პაუზა) უნდა გაუძლოთ... გვარდიელები დაიბრუნებენ სიმაღლეს!

კომისარი: გვარდია ჩვენი სიამაყეა, ჩვენს მსოფლიოში პირველებმა შევექმნით პარტიული ჯარი. მას კლასობრივი ბრძოლების დიდი გამოცდილება გააჩნია. კლასობრივი ბრძოლების სიმძაფრესთან და მნიშვნელობასთან კი, ნუ გეწყინებათ, ბატონო გიორგი, და სამხედრო ოპერაციები რას მოვლენ!

გიორგი (ირონიულად): იმიტომაც იღებს ალბათ გვარდიელი ჯარისკაცთან შედარებით ასჯერ მეტ ხელფასს.

კომისარი: ოთხმოცდათორმეტჯერ მეტს, ნუ გეწყინებათ, ბატონო გიორგი, ასეთი საპასუხისმგებლო გამოანათქვამებისათვის მეტი სიზუსტეა საჭირო.

გიორგი: მეტი სიზუსტე ბრძანებების შესრულების დროს არის საჭირო (კანონადის ხმა შეწყდა). მაღლობა ღმერთს, სიმაღლე დავიბრუნეთ. ახლა ბრძოლის ბედი კვლავ ჩვენს სასარგებლოდ შეტრიალდება, თუ, რა თქმა უნდა, ცოტა ხანში ისევე თქვენ არ ჩამოგაკითხვს პარტიის საწევროს გადასახდელად.

კომისარი: ნუ გეწყინებათ, ბატონო გიორგი, და მე ვერ გავიზარებ თქვენს სიხარულს.

გიორგი: მე ამას უკვე შეეჩვიე, თქვენ ჩვენი გუშინდელი გამარჯვების სიხარულიც არ გაგიზიარებიათ.

კომისარი: ბატონო გიორგი, თქვენ ამას პოლიტიკური უმნიშვნელობა გალპარაკებთ. ნუ გეწყინებათ, მაგრამ სამხედრო და პოლიტიკური ამოცანები ხშირად არათუ არ თანხედებიან ერთმანეთს, არამედ ეწინააღმდეგებიან კიდევ. აი, მაგალითად, რა მოხდა გუშინ!

გიორგი: გუშინ ბრძოლაში მტერმა ხუთი ათასი ჯარისკაცი დაკარგა, ჩვენ კი თითქმის უდნაკარგოდ გადავრჩით.

კომისარი: აი, სწორედ აქ ჩანს თქვენი კლასობრივი შეზღუდულობა, ბატონო გიორგი, ნუ გეწყინებათ და, მტრის ჯარისკაცებით ბრძანეთ. ვინ არიან მერე ეს ჯარისკაცები? ვინ და გუშინდელი მუშები და გლეხები, მუშებისა და გლეხების შვილები. მერე შეიძლება მუშები და გლეხები ჩვენი მტრები იყვნენ? ჩვენ საერთო მტრები გვყავს ექსპლუატატორები — თავადაზნაურობა, ბურჟუა-კაპიტალისტები. აქ კი რა გამოდის, ჩვენ ვხოცავთ იმით, ვისი ინტერესების დამცველებიც უნდა ვიყოთ.

გიორგი: მე ეს კლასობრივი სოლიდარობა აღარ მნამს, სამხრეთელ მეზობელთან ომის დროსაც თქვენ ასევე ამბობდით, გადავიტანთ თუ არა ბრძოლას მონინალმდევის ტერიტორიაზე, მათი პროლეტარიატი მაშინვე აღსდგება და ჩვენს მხარეს დადგება, საკუთარი ბურჟუაზიული მთავრობის დასამხობადო. სამხრეთელი პროლეტარები კი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გვიწვედნენ წინააღმდეგობას.

კომისარი: ისინი მოტყუებულნი იყვნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პროპაგანდით გაბრუნებულნი. რატომ დაარღვიეს ზავი, როგორც ას ოცი წლის წინათ, რატომ მათ არ აჩერებთ

კლასობრივი სოლიდარობა ჩვენი სამშობლოს მუშებისა და გლეხებისადმი.

კომისარი: იცით რას გეტყვით, ბატონო გიორგი, ნუ გეწყინებათ და, ისინი გაიმარჯვებენ თუ ჩვენ, ამით შედეგი არ შეიცვლება, რადგან კაცობრიობის ისტორიისათვის მთავარი (სიტყვას კანონადა გაანყვეტინებს).

გიორგი: ნუთუ მალლობი კვლავ მტრის ხელშია?

ადიუტანტი (შემორბის): ბატონო პოლკოვნიკო, გვარდიელებმა კვლავ თვითნებურად მიატოვეს სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიცია და მთელი შეადგენლობით ფრონტის შტაბთან გამოცხადდნენ, ვისადილებთ და შემდეგ დაებრუნდებით მალლობზეო (რეკავს ტელეფონი).

გიორგი: შალო, მესმის, მესმის... მალლობზე განლაგებული მტრის არტილერიის დამცველი ცეცხლის ქვეშ ჩვენი არმიის დაუცველ ზურგს უახლოვდება მტრის ჯავშნოსანი... შალო! შალო! გიორგი მინურიდან გადის. კომისარი და ადიუტანტი გაკეციბიან. შუქი ქრება.

სურათი შეცამება

გიორგი დგას მიწურის წინ ადიუტანტისა და კომისარის თანხლებით. მიწურის თავზე ფრიალებს სამშობლოს უზარმაზარი დროშა. ისმის კანონადის ხმა. გიორგის წინაშე გამწკრივებულია გვარდიელთა პოლკი.

გიორგი (ომახიანად): ვის გიყვართ სამშობლო?

დუმილი. კანონადის ხმა.

გიორგი (შეცბუნებული): ვის გიყვართ სამშობლო?

დუმილი. კანონადის ხმა.

გიორგი (ისტერიკულად): ვის გიყვართ სამშობლო?

ხმას არავინ იღებს.

გიორგი (სასონარკვეთილი): ნუთუ არავის გიყვართ სამშობლო?

მწკრივს გამოეყოფა ტანმორჩილი გვარდიელი.

გვარდიელი: მე მიყვარს სამშობლო!

გიორგი: აი ხელყუმბარები, გაიქეცი, ჩაუვარდი ჯავშნოსანს, ისხევი სამშობლო!

გვარდიელი (გაკვირვებული): მერე ვის ეყვარება სამშობლო?

შუქი ქრება. პროჟექტორით განათებულია მხოლოდ სამშობლოს უზარმაზარი დროშა. ისმის სიმღერა — „სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო“. სიმღერე წყვილიდან დროშის წინ აღმართეს გიორგის ფიგურა, რომელსაც პროჟექტორის შუქი გამოაცილებს სცენის კიდეზე.

გიორგი: ვიღაცას ხომ მართლაც უნდა უყვარდეს სამშობლო, ღმერთო!

ფინალი

სცენა წარმოადგენს პორტს. სცენის სიღრმე მთლიანად უკავია მრგვალფანჯრებიან კედელს წარწერით: „Per aspera“. სანაპიროზე ირევა თეთრსამოსიანი ხალხი. კედლიდან გადმოშვებულია ჯაჭვი, ამ ჯაჭვს შეახტება ერთი ნოე საკვირიაყით ხელში და ჯაჭვი აინევა, შეახტება მეორე ნოე საკვირიაყიანი და ჯაჭვი კვლავ აინევა და ასე შეიძვეჯერ, ბოლოს აინევა და ლუზაც აყვება. მანამდე არ ჩანს, რომ ეს გემია. ხალხი სასონარკვეთილია. ამ დროს გამოდის გიორგი.

გიორგი: ჩვენ დავრჩებით, ეს ჩვენი სამშობლოა, ჩვენ მას არასოდეს მივატოვებთ.

ხალხი აღფრთოვანებულია, შემოეხვევა გიორგის, ხელში აიტაცებს და დაიწყებს მის ჰაერში ასროლას. ერთ-ერთი ასროლის დროს გიორგი ჰაერში გაუჩინარდება და მის მაგივრად ჩამოვარდება ფსევდონოე. ხალხი გაოცებულია. მხოლოდ ფსევდონოს ცოლი მოვა გონს და თავის ქმარს გადაეხვევა.

ფსევდონოეს ცოლი: ჯოზეფ!

ვილბატ (იკითხავს): კი მაგრამ, ის კაცი რა იქნა, რომ გვეუბნებოდა, არ მიგატოვებო!

ამ დროს სცენაზე შემოიჭრება ნითელი შუქი, რევოლუციური სიმღერისა და ჩექმების ხმა. ხალხი უკან იხევს და გამოდის ნითელი შუქიდან ნელ-ნელა. ნითელი შუქი უცებ მთელ სცენას იკავებს და ამ დროს შემოდინ ჯარისკაცები, ხალხის ნაწილი სცენის სიღრმისაკენ დაიწევის, ნაწილი — მაყურებლებისაკენ. ჯარისკაცები უწყვეტ ნაკადად, სიმღერით მოაბიჯებენ მათ შორის.

შ ა რ დ ა

ჩვენთვის სწავლა აქედან!

ჩანახატი

ღვთის წყალობით თბილისში კოოპერატივები ყოველ ნაბიჯზეა!.. შეხვალ და თვალები გიბრწყინდება: ხედავთ კობ-ტად მონყობილ პატარა კაფეს, ლამაზად განლაგებულ ლამპი-ონებს, მაგიდებსა და ყვავილებს!.. დახლზე მიმზიდველადაა განლაგებული სხვადასხვა სახისა და ზომის პროდუქტები. ერთი შეხედვით კმაყოფილი რჩებით. მომხმარებელს ორი გამყიდველი ემსახურება!.. დახლთან ხალხმრავლობაა!.. ველოდები ჩემს რიგს!.. მანამ კი ცნობისმოყვარეობით ვათ-ვალღიერებ მაგიდებთან მსხდომ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს, რომ-ლებსაც ყავისა და წვენი სმა დაუმთავრებიათ და ფეხიფეხ-გადადებულები სიგარეტს ექაჩებიან, თან ხმამაღლა, მოურიდებ-ლად იცინიან. ვუყურებ და გული მწყდება, რომ ასე უქმად ატა-რებს ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ძვირფას დროს!.. ჩემმა რიგმაც მოაღწია, მაგრამ განგებ უკან დავიხიე, მინდა ვნახო, სანამ ისხდებიან ასე უსაქმოდ ეს ახალგაზრდები!.. თით-ქმის ოცდახუთი წუთი ველოდე!.. რომ დაერწმუნდი, ადგომას არ აპირებდნენ, მივედი და მოკრძალებით ვუთხარი: — ხომ მორჩით საუზმეს, რაღას ელოდებით, ადექით, წუთუ საქმე არაფერი გაქვთ?

ამის თქმა დამთავრებული არ მქონდა, რომ წამოიშალნენ და თან ასეთი სიტყვებით „შემაპქეს“:

— ნადი, შენი კეთილები!.. — და გავიდნენ.

ადვილი წარმოსადგენია, რა ხასიათზე დავედგებოდი, თან ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, ვერ გავჩუმდები-მეთქი?! მაგრამ არა, კი არ უნდა გავჩუმდეთ, ყველამ ხმა უნდა ავიმალლოთ, რომ სხვებ-საც არ მოედოს ეს სამარცხვინო სენი!

გაოგნებული მივედი დახლთან და ვიკითხე, რა ღირდა ლო-ბიანი პატარა კოკორი. მანეთიო, იყო პასუხი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ მქონდა!.. კარტოფილის ღვეხელი-მეთქი? (რომე-ლიც სიგარეტის სიგარტე იყო) ორმოცდაათი კაპიკო, მიპასუხა.

— კი მაგრამ, როგორ, რად არის ასეთი ძვირი, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, ვინ შეძლებს ამის ყიდვას?! — თქვი უპაყო-ფილოდ.

— ქალბატონო, რატომ გვინყრებით?! აქ თქვენისთანა უფულო ხალხი არ შემოდის, ნუ გვსაყვედურობთ, ჩვენ ხომ არ გეპატი-ყებით, ხომ არ გაძალებთ?! ჩვენ იმდენი მყიდველი გყავს, რომ ავუდივართ, თანაც ამდენი დრო არა გვაქვს! გთხოვთ მიბრ-ძანდეთ!

ისლა დამრჩენოდა მეკითხა, ვინ იყო ამ კოოპერატივის გამ-გებელი? ვიკითხე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, შეაყარეთ კე-დელს ცერცვი!..

რომელი ერთი შეიძლება დაასახელო!.. კოოპერატივების უმრავ-ლესობა ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს. ამიტომ ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, „ნიანგო“, მოგმართო შენ, ვიცი ძალიან დაკავებული ხარ და ჩემებრ ბევრი განუხებს, მაგრამ მჯერა შენი ყურადღების, რომ მიიღებ ზომებს, არ დაუშვებ მომხმარებლისადმი უხეშ დამოკიდებულებას — შეგვიბრალებ ხელფასზე მყოფ ხალხს!

თ. წითელხველი

მინიატიურები

შეიძლება გაიმეოროთ!..

ლამაზ შავთვალწარბა სტუდენტ გოგონას დეკანატში ეჩქარებოდა. კიბე-ებზე წაიფორხილა, ხანში შესულ პრო-ფესორს დაეჯახა და აკანკალებულმა შეპ-კივლა:

— ბოდიში, ბატონო!.. მაპატიეთ!..

— შეიძლება გაიმეოროთ! — დინჯად უპასუხა პროფესორმა და ჭაღარა უღვა-შეპში ჩაიცინა.

ბრძალი ენა

გიგლა ცელქი, მოუსვენარი ბავშვი იყო. ენაც ავი მქონდა.

ერთხელ გიგლამ მეზობელი გოგონები საშინლად გალანძლა.

ატირებული გოგონები გიგლას დედას-თან მივარდნენ და შესჩივილეს.

— გარუმდი, გიგლა! შენ გრძელი ენა გაქვს! — გაუჯავრდა დედა.

— არა, დედი! გრძელი ენა რომ მქონ-დეს, პირში არ დამიტეოდა! — მშვიდად უპასუხა გიგლამ.

უხერხულია!..

პრე-პრეტი გაზეთის თანამშრომელს ჰკითხეს:

— რატომ გაქვს, გივი, სამი ფსევდო-ნიმი?

გივიმ გაიცინა, მიმოიხედა და უპასუხა:

— აბა, როგორ მოვახერხო, ჩემო კარ-ლო, გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში ერთდროულად სამი სტატიის დაბეჭდვა?! ერთ ფსევდონიმს ხომ არ მოვანერ?! უხერხულია!..

ნაპერწყლიდან ალი აინთება

შახტში, სადაც დიდი რაოდენობით გამოიყოფოდა ხოლმე გაზები, პრაქტი-კანტმა სტუდენტმა პაპიროსი ამოიღო და ასანთს გაჰკრა.

— ნაპერწყალი!.. ნაპერწყალი!.. ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო?! — დაიყვირა მოხუცმა მეშახტემ.

— ნაპერწყლიდან ალი აინთება! არ გა-გიგონია?! — ამაყად უპასუხა სტუდენტ-მა და დაუმატა: — როგორც ჩანს, ცუ-დად ერკვევი პოლიტიკაში!

ახალი ფორმა

პანო და ბიჭიკო ტაქსი ჩასხდნენ. ვა-ნომ დაათვალიერა შოფრის ფორმა და გაიცინა.

ხუთი წუთის შემდეგ კი, როცა და-ნიშნულ ადგილს მიუახლოვდნენ, მოიღუ-შა, ბიჭიკოსაკენ გადაიხარა და წაუჩურ-ჩულა: — შოფრისათვის ათი კაპიკი მქო-ნდა გადანახული, ამას კი, რომელიც სამ-ხედრო პილოტსა ჰგავს, ასეთი მცირე გასამრჯელო როგორ გაფუბედო? მასესხე, თუ კაცი ხარ, აბაზი!

— რას ამბობ, კაცო?! — აცქმუტურდა ბიჭიკო. — ფორმიანი კაცი და გასამრ-ჯელო?! არა, შენი ჭირიმე!.. არც ერთი კაპიკი!.. თორემ შეგვარცხვენს, გაგვლან-ძლავს!..

ზუსტი პასუხი

პრეტი მოჭადრაკეს ჰკითხეს:

— როდის გამოიგონეს ჭადრაკი?

— მატრიარქატის ეპოქაში! — უყოყმა-ნოდ უპასუხა მოჭადრაკემ.

— კი, მაგრამ საიდან იცი?

— თვითონ ჭადრაკმა გამანდო თავისი საიდუმლოება!

— ?!

— ვერ ხედავ დედოფლის უფლებებს?! იგი ხან ქარიშხალივით დაქრის მთელ დაფაზე და მუსრს ავლებს მონინალმდე-გის მეფეს, ხან კი ხმალამონველი იცავს ცხენივით შებორკილ საცოდავ გვირგვი-ნოსანს, რომელსაც არ ძალუძს თუნდაც ერთ უჯრას გადაახტეს!..

გიორგი გოლეთიანი

წკი- კურ- ტიბი



თარჯოლის საავადმყოფო

ვფიქრობდი: „კონცლაგერია“,
ან მიგდებულნი ყაზარმა!“
შიგ რომ შევედი, მაშინვე
სუნმა შემხუთა საზარმა..
ჩამოფხვილან კედლები,
თითქოს თეზაფი შეუსხამთ!..
რუხი, პირქუში შენობა
რა იმედს მისცემს სნულსა?!
იატაკია აშლილი,
ჭერი დამსკდარი, რიოში!..
უჯობს ავადმყოფს: აქ მოსვლას
წახვლია საიქიროში!..

და არწვედა სიო ყანებს!..

თერჯოლის რაიონის ჩო-
ლაბურის ინერტული მასა-
ლების მოპოვების საწარმო
ანადგურებს დიდძალ სასო-
ფლო-სამეურნეო სავარგუ-
ლებს.

სულ გაძარცვეს ჩოლაბურის
კალაპოტი სილა-ხრეშით,
კარიერიც ვერ მოაწყვეს,
მგონი, სამჯერ ცვლიან დღეში!..
სძინავს, როგორც იხტიოზავრს
აქ დანადგარს — სილის
მწოველს!..

ვაი მინას, ქართულ მინას,
წინაპართა სისხლით სოველს!..
ვაი ცოდვა ათხრილ-დათხრილ
ორას-სამას ჰექტარ მინის!..
ჯართით სავსე, უმოსავლო
ნაგავ-ასფალტ-რკინით იწვის!..
სად ბალები ბიბინებდა
და არწვედა სიო ყანებს,
ახლა ბინძურ, მყრალ ორმოებს
ყვავ-ყორანი დაჰქაქანებს!..

თარჯოლის დანგრეული შენობების ჩივილი

ზამთარი რომ იყო მკაცრი,
ამოთხარა ხენი ფესვით!..
მიგვატოვა ნანგრევებად,
ჩვენი ოხვრა-კვნესა გვისმით?!
ვდგავართ, რემონტს
ველოდებით,
დაფეხვილი, თვალდათხრილი!..
ჩამოშლილ ძელებს სიცხე
შანთავს
და ჩამოგვჩქეფს წვიმა მილით!..
მოგვადგება კვლავ ზამთარი
ჩამოგლეჯილ ფანჯრებს,
კარებს!..
შეშინებულთ იმის შიში
სიცხეშიაც გვაკანკალებს!..

გიორგი კაპანაძე



საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკა
შუბრალის „ნიანგი“ № 17
(1795) სექტემბერი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ზოლვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნომადო
ბართია, ბორის გურჯუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
ნალ ლოლაშვილი (მხატვარ-რე-
დაქტორი). ნოდარ მალა-
შონია, ალექსანდრე სა-
ხოშია, ბეჟან სიხარულძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჭანსუღ ჩარკვია-
ნი, თამაზ წიფვიძაძე, ნე-
ფი ჭუსოთია.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნღუა

გადაცემა ასაწყობად
03. 08. 89 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 06. 09.
89 წ. ქალაქის ზომა
60x90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს კ.ბ.
ც.ს.ს. გამომცემლობა,
ლენინის 14. შეკვ. № 1818
შე 04688. ტირაჟი 130100.
ეურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, ტელექტორ-ლიტ-
მუშაების — 99-02-38,
მდივან-მეგამანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კპ.

ინდექსი 76187

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამსახური



— ჯადით, სხვაგან დაიქინეთ, აჲ ევროპის სა-
ერთო სახლი უნდა ავაუწინოთ!